ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3218871

ნომერი: AR1494172

თარიღი : 08.04.2017

გაცემის თარიღი : 21.04.2017

გაცნობის თარიღი : 30.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ტლაშაძე პ/ნ 01013007590
- თბილისი ზ.დუმბაძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 8 აპრილს #AR1494172 განცხადებით მომართა მარინე ტლაშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის #2673192 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის #3206770 ბრძანებით მარინე ტლაშაძეს დაევალა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოედგინა დეტალური განმარტებითი ბარათი, სადაც დაზუსტებული იქნებოდა გასასწორებელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე, განმარტება ფართებს შორის სხვაობის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. 2017 წლის 18 აპრილს განმცხადებელმა შეტყობინებით მოითხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის 5 (ხუთი) დღით გაგრძელება.
საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის #3206770 ბრძანებით განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს 5 (ხუთი) დღით.
2. განსაზღვრულ ვადაში 2017 წლის 12 აპრილის #3206770 ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2017 წლის 8 აპრილის #AR1494172 განცხადება დარჩეს განუხილველი;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.
